

კვირა 30 მაისი, 1920 წ.

ვადე 10 გვერდი  
გიგანტის განცხადება



№ 6

საოცენაზო ჟურნალი

„ჩათაბალა“ გამოვა დრო-გამოშეგებით და დაიბეჭდება ისეთ ქაღალდზე, რა ქაღალდსაც ვიშვეთ. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ თუილისში კანტორა „განათლებას“.



ადერბეიჯანელების გამოლაშქრება საქართველო საკენ.

## ჩვენი მტერ-მოყვარე.

ასე, ჩემმა მანასეოა:  
ხან ისე და ხან ასეო.

ნათქვამია: ღმერთო, მოყვარე მა-  
შორე, მტერს მე თითონ გაუძლე-  
ბიო.

საქართველოს ერთსა და იმავე  
დროს ერთი მტერი გამოუჩდა—სომ-  
ხეთი, და ერთიც მოყვარე—აზერ-  
ბეიჯანი. მტერი მოვიშორეთ და  
მოყვარე ვერა. მოყვარე მეტად და-  
გვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა.  
დაგვიმეგობრდა იმიტომ, რომ მტე-  
რი მოადგა კარჩე. ეს შარშან იყო,  
სწორედ ამ დროს, გაზაფხულსა და  
ზაფხულში. ინგლისელებმა ბაქოდან  
წასვლა დააპირეს. აზერბეიჯანის  
მთავრობის თავმჯდომარე უსუბბე-  
კოვი გულის ფანცქალით მივარდა  
ინგლისის გენერალთან.

— რას გვიშვრებით?

— რა იყო?

— რა იყო? ამბობენ თქვენი ჯარი  
მიდის ბაქოდან?

— მერე თქვენ რა?

— ხომ დავრჩით უმშეოთ. გვე-  
შინიან.

— ვისი გეშინიანთ?

— ბოლშევიკებისა.

— ბოლშევიკებისა? კარგი. ჩვენ  
ორი შეიარაღებული გემი გვაქვს.  
ორივეს დენიკინს მივცემთ.

— ჩვენ გვიბოძეთ ეგ გემები.

— არა, თქვენ ვერ მოგაროვით.  
რა თქვენი საქმეა!

— მერე, თქვენო აღმატებულე-  
ბავ, ბატონო გენერალო. დენიკინა  
რომ ეგ ვემები ჩვენ წინააღმდეგ  
გამოიყენოს?

— ეგ შესაძლებელია. უველა გე-  
ნერლები საშიშო წალხია. დენიკი-  
ნიც გენერალია. დიალ, შეიძლება,  
ადვილათ შეიძლება დენიკინი თქვენ  
წინააღმდეგ წამოვიდეს. ბიქო გემ-  
რიელი ლუკმა.

— მაშ რა ვქნათ?

— იცით რა? ჩვენ ხომ სულ ერ-  
თია მივდივართ. ჩვენი პოლიკია  
ასეთია: ჩვენ ვემარებით ჯერ დე-  
ნიკინს, თუ დენიკინმა თქვენ დაგ-  
ძლიათ, მერე თქვენ დაგეხმარებით,  
თუ თქვენ დასძლიეთ, მერე იმას  
დავეხმარებით, თუ სომხები თქვენ  
მოგერიათ, თქვენ დაგეხმარებით, თუ  
თქვენ სომხებს დასძლიეთ, სომხებს  
მოვეხმარებით.

— ეგ კარგი პოლიტიკა გქონიათ.

— დიახ, გამოცდილი პოლიტი-  
კა, ჩინგბული. ათასი წელიწადია,  
რაც ამ პოლიტიკას ვადგივართ.  
საფრანგეთი რომ პრუსიას მოერია,  
ჩვენ საფრანგეთი დავამარცხეთ და  
ნაპოლეონი ელენეს კუნძულზე და-  
ვატყვევეთ. გერმანია რომ გაძლიე-  
რდა, საფრანგეთი არ დავამარცხე-  
ბინეთ. ეხლა გილჰელმიც უნდა  
გავგზავნოთ ელენეს კუნძულზე.

— ჩვენ რას გვიპირობთ? დენი-  
კინისა გვეშინიან. თქვენ გემებზე  
რომ ჯარი დასხას და ბაქოს მოად-  
გეს, რაღა ვქნათ?

— ზარბაზნები დაუშინეთ.

— ზარბაზნები რომ არა ქვაქვს?

— ჩვენ მოგცემთ.

— ცხენები რომ არა გვყავს?..

— ჯორებს მოგყილით.

— ჯარი რომ არა გვყავს?..

— ჯარისა რა მოგახსენოთ...  
იცით რა? ჯარი საქართველოს სთხო-  
ვეთ.

— გენერლები?

— აკი გყავთ მეხმანდაროვი...

— ერთათ ერთი.

— საქართველოს სთხოვეთ.

— ბაშუსტა.

უსუბებერებმა მისწერა საქართვე-  
ლოს მთავრობას: აღა უორდანია!  
ორიოდე გენერალი გამოვიგზავნე,  
ტყვია-წამალი და თქვენი გვარდია.

წამოიდენ ბაქოში ქართველი გე-  
ნერლები. დაათვალიერეს პოზიციე-  
ბი.

— აი, თქვე ლაჩინებო თქვენა,  
რისა გეშინიანთ? დენიკინი ჯერ  
შორს არის. ჯერ დაღესტანი არ  
აუღია. ლეკები თამამი ხალხია.

— ლეკებმა რომ გვიღალატონ?

— ჩვენ არ გიღალატოთ.

— ჩვენ რომ ვუღალატო ჩვენს  
თავსა?

— არც ეგ არის საშიში. ჩვენ  
დაგეხმარებით და დენიკინს არ შე-  
მოუშებეთ.

— გენერალი ბარათოვი უკვე  
აქა ბრძანდება.

— მერე რაო?

— მეგობრობას გვპირდება. იცით  
რა? მოდი, თქვენი მეგობარიც ვიქ-  
ნებით, დენიკინისაც, ბალშევიკები-  
საც...

— ეგ სადაური პოლიტიკა?

— ინგლისელებმა გვასწავლეს.

— იქნება, კოლუმბუსი უფროშორი-  
ბაც გინდათ! გიგანტის გიგანტი

— რატომ არა, ვინც მოვა, მობ-  
რძანდეს. უველას ვეტყვით უბალი,  
აღა!

— ბალშევიკებსაც?

— ჩვენ თოთონ ბალშევიკები  
ვართ. ნამდვილი ბალშევიკები.

— მაშ ჩვენთან რაღა გაქვთ სა-  
ერთო?

— თქვენი მეგობრებიც ვართ.  
როცა ჩვენ გაგვიკირდება, მეგობ-  
რები ვიყვნეთ, როცა თქვენ გაგი-  
კირდებათ—მტრები ვიყვნეთ.

— ეგრე არ შეიძლება.

— ბალი, აღა! როგორც გნებავს  
ისე იყოს.

წამოვიდნენ ჩვენი გენერლები.  
წამოვიდა ბარათოვიც. წავიდა რუ-  
სეთში ცალ-ფეხა, ცალიერ-ტარიე-  
ლი. დამარცხდა დენიკინი. გაეხარ-  
და აზერბეიჯანს. წამოვიდენ ბალშე-  
ვიკები. მივიდენ ბაქოში. „ბალი  
აღაო“, — მოახსენეს აზერბეიჯანე-  
ლებმა: „ჩვენ ბალშევიკები ვართ“.

— მერე მენტევიკებთან რათ მე-  
გობრობთ?

— ვინ არიან მენტევიკები?

— ქართველები.

— ჩვენ ქართველების მტრები  
ვართ.

— შეესევით?

— ბალი, აღა. ტყვია წამალს მო-  
გებემთ?

— მიირთვით.

— გენერლებს?

— ინებეთ, ბევრი გვყავს.

— ჯარსაც მოგვცემთ?

— არმენიც გინდათ.

წამოვიდა აზერბეიჯანი. წამეიყვა-  
ნა ბალშევიკების გენერლები და  
ჯარი. წამოვიდა სეტყვა, დაუხვდა  
ქვა. წახდა აზერბეიჯანი. ვერ მიერ-  
თვა ბატრიჯანი. ეხლა მტრია თუ  
მოყვარე?

დღეს მტრია, ხვალ მოყვარე,  
ზეგ მოყვარე, მაზეგ მტრი.

აბა ეხლა ეს მიბრძანეთ:

კვეიანია ის, თუ შტერი.

ეშმაკის ფეხი.





# ქმრის თავგადასაჭალო.

(იგაფ-არაკი).

(დასასრული, იხ. „ხათაბალა“ № 5)

ლამის თერთმეტ საათზე  
კამისარის ბინაზე  
მიიყვანეს ვართანა, მაგრამ იმის ჯინაზე,  
ის მოხელე წყეული  
არ დაუხვდა სახლშია  
და გარეთ გააჩერეს იქვე დერეფანშია.  
შეიხედა ვართანამ  
კედლის ჭურჭუტანიდან,  
ხედავს ვიღაც კაცი სჩანს იქვე ქალთან განიდან,  
ეხვევა და აგორებს,  
ისე ეკურკურება,  
რომ კაცს ვნებას აუშლის მისი შორით ყურება.  
გაიხედა ვიღაცა  
კიდევ მოღის (კაცია),  
არ დასკირდა არც იმას დიდი დეპუტაციაზ  
კარებს მიურაკუნა  
როგორც სტუმრის წესია.  
ეხლა შიგნით სურათი კიდევ უკეთესია:  
ქალმა კაცი ზანდუკში  
ჩაძერინა ხელათა  
და კარისკენ გაიქცა სტუმრის შესაყრელათა.  
შეიყვანა და მასაც  
ეშით ეალერსება,  
ხედავს ამას ვართანა, გული ბოლმით ევსება.  
იცის საწყალ კამისარს  
რომ ღალატობს ცოლია,  
ამბობს გულში — ეს ქალი ქმრისგან ჩასაქოლია.  
—  
ამ ღროს მართლაც მოვიდა  
ნამდვილი კამისარი,  
ცოლმა რომ ეს გაიგო თითქოს მოხვდა ისარი.  
ეს მეორე სტუმარიცა  
იქვე შეაფში დამალა  
და სახლში ყავს ფარულათ მთელი „მისი ამალა“.

დარაჯებმა ოთახში  
შეიყვანეს ვართანა,  
კარზინკაც მიაყუდეს იქვე შიგნით კართანა.  
მოახსენეს: ეს კაცი  
დავიშირეთ დამითა,  
რაღაც ბარგა დაათრევს საეჭვოა ამითა.  
ეტყობა რომ მაგასა  
რაღაც მოუტაცია,  
აწი თქვენი საქმეა, გაიგოთ რა კაცია.  
—

კამისარმა ვართანას  
ახედა და დახედა,  
გეტყობა უულიკი ხარ? — დაუყვირა მყვახედა,  
რა მოხელე კაცი ხარ,  
ან რას დაეხეტები?  
გვითხარ მალე, სანამდე მოგაყოლოთ კეტები.  
— მე ბატონო, საწყალი  
ფოკუსნიკი კაცი ვარ,  
არავისი შიში მაქვს, არხეინათ დავდივარ.

— მაშ რა ფოკუსს აკეთებ, უროვნეული  
ერთი უნდა გვაჩვენო, უიზუირითია  
თუ ტყუილი გამოდგა მაშინ არ შეგარჩენო.  
— ჩემი მჯოხით გავაღებ  
ამ შენს შეაფის კარებსა  
და გაჩვენებ სურათსა გულის გასახარებსა.  
თუ რომ შიგ დამალული  
მე ვაჟკაცი განახო,  
მაშინ რას მემართლები, ან რათ უნდა გამლახო?  
ალე ჰოპ, შესძახა,  
გახსნა შეაფის კარია,  
შიგნით მართლაც კაცია, შიშით ცოცხალ-მკვდარია.  
კამისარს კი სახეზედ  
აურა ფერია,  
ფიქრობს: ამ ჩემს ოთახში ეს საქმე რათერია?  
ტუსალს უთხრა: სიკვდილსა  
მე შენ გადაგარჩენო,  
მაგრამ ერთი ფოკუსი კიდევ უნდა მაჩვენო,  
— თუ რომ ამ ზანდუკიდანც  
კაცი გამოვაძრინო,  
მაშინ სახლში გამიშვი, არაფერი მაწყინო.  
ალე ჰოპ, შესძახა  
და ახალა ზანდუკი,  
ხედავს ზევით ამოძრა ვიღაც გრძელი ჭაბუკი.  
კამირასი დარწმუნდა,  
ცოლის ღალატობაში  
და რაღაც ეპვებმაც გაუელვა გრძნობაში.  
ფოკუსნიკს ასე უთხრა:  
შენ დამცინი მგონია,  
მაგრამ ბოლოს ინანებ როგორც გამიგონია.  
მაგ შენ კარზინკიდანც  
თუ კაცს არ გამოიყვან,  
ჩემის დაცინვისათვის ჭაბუტედაც მოგიყვან.  
მე შენ მაშინ გასწავლი  
ფოკუსების კეთებას,  
ისე დაგცებ მათრახებს, რომ გიჩვენებ ფეობას.  
—  
წაუხთა ჩევენს ვართანას  
ფოკუსების გუნება,  
სიფათს მაინც არ იტეხს, რაცხას ებრაგუნება.  
ალე ჰოპ, შესძახა  
და კარზინკას ახალა,  
ხედავს შიგნით ჭაბუკა დაჭყანულა გლახადა.  
ვართანამ დაინახა  
თავის უბედურება,  
და თვალები დახუჭა, აღარ უნდა ყურება.  
კამისარს წასხურჩულა:  
ცემას რას მემართლები?  
დღეს ცოლები გამხდარან ჩვენი მოსამართლები.  
ეს, ჩემო ძმავ, თუმცა შენც  
საწყალ ქმრებში სწერიხარ,  
მაგრამ მაინც ჩემზე კი ბევრათ ბელნიერი ხარ.  
შენი ცოლის „სტუმრები“  
თუმცა კარგს არ სჩაღიან,  
მაგრამ მაინც შენს სახლში თვისი ფეხით დადიან.  
მე კი მთელი თვეობით  
ვარჩინე და ვახურე,  
ჩემს ცოლთან გორაობდა, მე კი მათ ვემსახურე.  
ვითომ ფოკუსნიკაც ვარ  
კაცმა რომ მიყუროსა  
და ზურგით კი დავთრევ ჩემი ცოლის კუროსა.  
გურიანთელი.



## საქო და გეონ მასლაათი.

(სცენა პუშკინის ბაღში).

**საქო.** გამარჯობა გეონჯან  
ძვირი სანახვი ხარ,  
დიდხანს გათვალიერებ  
და არსად შემხვედრიხარ.

**გეო.** გაგიმარჯოს საქოჯან  
მეც ბევრჯელ მოგნახევი,  
მაგრამ კაცო დღემდისინ  
ვერსად ვერა გნახევი.

დარდიანი გული მაქვს,  
ლამის ბოლმამ გამხეთქოს;  
შრომა ფიქრია ვარამმა  
თავის ქალა ახეთქოს.

კაცო ვინმე ყოფილა  
ასეთი უროს მნახველი?!  
ბალშევიკი გამხდარა  
ადერბეიჯანელი!

მათ ფეხის ხმას ასდევენ  
დაღესტნელი ლეკები  
თურმე კომუნისტობენ  
თაორის მოლა-ბეგები!

აქ სხვა შტუკა რამ არის  
სულ სხვა რამის ბრალია,  
თორებ სად გაგონილა  
კომუნისტი აღია?!.

**საქო.** ეჭ, რა ვიცი გეონჯან  
სჯობს ქვეყანა დაიქცეს,  
ვიდრე ბრიყვი ოხერი  
კომუნისტი გაღიქცეს.

ოსმალეთის ფაშებსაც  
აერიათ დავთარი,  
ენვერ-ფაშა შეიქნა  
ტროცკ-ლენინის ამქარი.  
სიტყვით ბალშევიკობენ  
გულში სულ სხვას ფიქრობენ,  
ბოროტი საქმისათვის  
აშკარათა ფლიდობენ.  
**გეო.** მგონი ვერ მიხვედრილხარ  
მაგათ გულის ნადებსა,  
მე კი ოვალ-ყურს ვადევნებ  
ნაირ-ნაირ ამბებსა.

შურმა ლამის დაახრის  
„კრუგომ“ მთელი „პუბლიკა“,  
როდესაც გამოცხადდა  
კრაცების რესპუბლიკა.  
თუნდა ჩვენზე ვიფიქროთ  
პირველათ რას ვამბობდით,  
გული ბოლმით გვემსოდა  
და ერთოთავად ვდარდობდით.

ხან დენიკინს ვაქებდით,  
თანაც ვბალშევიკობდით,  
ნიკოლოზს ვნატრულობდით,  
ჩუმათ ვმაშენიკობდით.

ვითომ ომიცა ვენით  
თოფი ხმალი ავილეთ,  
მაგრამ ჩემო საქოჯან  
ვერაფერი წავილეთ.  
ვინ ჩვენა და ვინ ომი!  
ხომ იცი ისტორია?

ჩვენი თოფი და ხმილური ვენედიცი  
ჩოთქი და სასწორი გაბლიური  
ვრაცი არეის მოუთმენს  
ლალატსა და ოხრობას,  
მტერს მტრობას გადაუხდის,  
მოყვარეს კი — მოყვრობას.

ებლა ადერბეიჯანს  
იმის ბალშევიკ ჯარია,  
ლალატს არ შეარჩენენ  
დასცემენ შიშის ზარია.  
საქო ებლა ვრწმუნდები  
აზრებიც შემეცვალა,  
ქართველს ვერ შეაშინებს  
ხარა-ხურა მტრის ძალა.

ჩვენში პირველი არის  
მაგრათა სდგას მურჯათა,  
ვერაფერს ვერ დავაკლებთ  
სჯობს რომ ვიყვეთ მუნჯათა,  
**საქო.** ამ ამბების მომსწრება  
მეც დაკარგე გონია,  
კრაცების რესპუბლიკა  
შე სიზმარი მგონია.

პირით მეც ვბალშევიკობდ  
ვარ ლენინის პარტია  
ხან ისე ვარ, ხან ასე  
როგორც გიურ მარტია.

როცა ბალშევიკები  
ბეგებს უერთდებიან,  
თავს ვერ გაიტანებენ  
„ზნაჩიტ“ დამარცხდებიან.

ამას კი თან მოჰყება  
„პარიკატკის“ აღდგენა,  
გაიზდება რუსეთში  
დენიკინის გავლენა?..

**გეო.** მეც არ მჯერა საქოჯან  
თაორის ბალშევიკობა,  
რაღაც ოინგებია  
ხრიკი მაშენიკობა!

პეტრუშა.

## საქართველოს.

შენს ხავერდ მთა ბარს ეშითა ათრობს  
წითელ დროშების სხივთა ნავარდი,  
მშევრიერ ველზე კეკლუცობს ნაზობს  
ზამბახი, ლელი, ია და ვარდი.

თავსა გიმშევენებს ოქროსა ჯილა:  
ერის დიდება, ერის გვირგვინი  
და არ გაშინებს გრიგალი, ტალღა,  
ბრიყვის მუქარა, მათი ყიჯინი.

შენ მხიბლავ მკერდის უბადლო  
შეილთა

ხელში უჭირავთ ბასრი მახვილი,  
წინ შიისწრაფების და ისმის გმირთა  
თავისუფალი ამოძახილი.

ათასი წლობის მონობის ჯაჭვი  
უკვე დალეწილ-დამსხვერეულია  
და შენი ზეცა სხივ ჩანამქრალი  
დღეს ცისკრის ალით ანთებულია.

3. ხორეთელი.

ორმოცი დღის თავი (თბილისის სადგურის ზარის გასვენებისა).



შეს ლამეზე გაასვენეს სადგურის ზარი,  
რამაც იქაურ მილიციას დასცა თავზარი

და გულ-ამოსკვნით მიაცილეს სასაფლაოზედ,  
ზოგი ამქრებიც (ხელოსანთა) სტიროდა შნოზედ.

### რძინის გზის რამე-რუმე.

—

საშინლიდ გაძირებულია ქ. ბა-  
თომში ღორის ხორცი, ქათმები,  
კვერცხები, ღვინო, კონიაკი... ამბო-  
ბენ ამის მიზეზი ის არის, რომ №  
1 და 2 მატარებლებში აღარ და-  
დიან ვაგონი-რესტორანები, რომელ-  
ნიც საკმაოდ ეზიდებოდენ ამ საქო-  
ნელს ბათუმისაკენო....

— რადგან მომავალ ზამთარში,  
წარსულის მიხედვით, ყველა რკინის  
გზის მოსამსახურებს დაურიგდება თი-  
თო კუბიკური საუენი შეშა, აღმი-  
ნისტრაციამ ფიცხელი განკარგულე-  
ბა გახცა მოსამსახურეთადმი, რათა  
იგინი უეჭველად დაემზადონ შეშის  
მისაღებათ და არას გზით არ განაც-  
ხადონ შარშანდელივით უარი შეშის  
მიღებაზედ.

— რკინის გზის მუშა-მოსამსახუ-  
რეთ გადაუწყვეტია: ამიერიდან აღარ  
მოითხოვონ ჯამაგირის მომატებაარას  
დროს, რადგან იგინი, თანახმათ სა-  
ტარიფო პალატის დადგენილებისა,  
უხვად კმაყოფილდებიან იაფ ფასებ-  
ში ყოველგვარ სურათ-სანოვაგით  
და სხვა საჭირო საგნებით.

— ჩემი დაუღალება რკინის  
გზის მილიციამ ბათუმში უკვე აღმო-  
აჩინა ამას წინაზედ დაკარგული სად.  
თბილისის ზარი. იგი თურმე თავი-  
სით ჩამოხსნილა და გაპარულა საზ-

ღვარ გარეთ, რადგან უკმაყოფილო  
ყოფილა იმის, რომ მასზე არ გაერ-  
ცელებულა რვა საათის სამუშაო  
დღის კანონი. საჭიროა შეტანილ  
იქმნეს ამის შესახებ ცვლილება ბრძა-  
ნება № 17-ში.

გ. ვარდენიშვილი.

### სურათები

(ჭიათურისათვის)

მაბეზარა ჩემი მუშა  
არის იმის თაღარიგში,  
თუ ვის მოსდოს თავის დუშა  
ვინ ჩახატოს პირველ რიგში.

ბოლოს ეგრე გადასწყიტა  
მსხვილ ფიგურებს მიაშუროს,  
ეკროპიდან მოსულ კაცის  
მთელი სიბრძნე ამოსწუროს...

ტან დაბალი, პირ მსუქანი,  
მომლიმარე პირი-სახით  
„გაიძვერა უნდა იყოს“  
იტყვის ყველა ერთი ნახვით!..

საცოდავი მამა მისი  
ის აცხონოს მისმა სჯულმა,  
როს ოჯახის დანაკლისი  
ვერ შეუესო მისმა ფულმა:

როს თავისი პირმშო შვილი  
გაეხადა მართლა კაცად,

და ხალხისთვის გადეხადა  
ნახესხები ერთი — ასაღ,

ამ მიზნისთვის ის მიმართავს  
მრეწველებს და კერძო პირებს  
ყველასა სთხოვს შემწეობას  
აძლევს ასეთ დანაპირებს:  
„მომავალში ჩემი ვაჟი  
საქართველოს გაკვირებს!“

როგორც ხედავთ საცოდავმა,  
ვის არ სთხოვა, ვის არ სდია,  
ზდანოვიჩიც შემიცდინა  
დაუნიშნეს სტიქენდია!.

მორჩა, წელში გაიმართა  
შეუმჩატდა მართლაც ტვირთი,  
ვით სალი კლდის დასანგრევათ  
უკან განასროლი ზეირთი!

მაგრამ დახეთ რა გამოდგა  
„კურსოვნიკი“ მისი შვილი?.  
— გაიძირება დაავიწყდა  
ზლაპრად უჩანს სხვის სიმშილი.

ეს ევროპის ესკულაპი  
ჩარჩულ ჰანგზედ მოინათლა...  
და საწყალი მამა მისის  
ანდერძი ვერ გაამართლა..

ჭიათურელი ეშმაკი.

## მადლობა ღმერთს!!.

მადლობა ღმერთს, ჩხირი კედელს!.

ეგრე იზამდით რაღა თქვე მამა-ცხონებულიშვილებო! ეჭ, მე კი მოშკალით შიშით, მეტი ჩამაგდეთ ჩიხოტკაში, ბოლმისაგან ჯიგარი გამისივეთ და ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!..

კაცო, აქამდის გექნათ ეგრე, აქამდის შერიგებულიყავით იმ ბალ-შენიკებთან, რომ მეც ერთი ორი დღის სიცოცხლე შამმატებოდა! ორი წელიწადია იძიხით: „მოდიან, ძოდიან ბალშენიკებიო“ და მეც შიშით ნელ-ნელა ვდნებოდი, ვა ხუმრობა ხომ არ არის, კაცო, ორი წელიწადია შიშის და ზაფრის ქარებში ვარ! ყოველ მინუტს ველოდებოდი ვზარვაიტს და ანდერძის პრაშენია პასტაიანათ ხელში მეტირა გაშანშალებული!.. ერთი სიტყვით ამდენ აპასნი მოლოდინში ისე გავხმი, ისე დავდნი, ისე მოვიკუნტე, ისე დავპატარავდი, ისე დავილე სიგრძე-სიგანეში, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, ამისთანა ძაფის სიძირეში, ოთხმოცდა ჩვილმეტჯერ გადას გადმოვსეი შარვლის ლილები! რამდენჯერ პატიოსან ობჰესტვაში კინაღამ ჩიმერა და სირცევილი ვჭამე! მერე, თქვე ულმეროვებო, თუ ისე სრაზუმ, ასე მამენტალნა შავრიგდებოდით ამ ბალშენიკებთან, გექნათ რაღა აქამდის? რაზე დამადნეთ კაცი, რაზე გამიხადეთ შარვლები საჟრედელკოთ?

ხალხნო, ქრისტიანო, თუ ჩვენი ქვეყნის ქალში იყო საქმე, რატომ აქამდის არ მითხარით?! გოგოს ვიშოვიდი, გოგოს ვიშოვიდი იმისთანა ანტიკას, რომ ლენინი კი არა, ქათალიკოს-მიტროპოლიტები დაიხრივებოდნენ ნერწყვის ყლაპით! ხალხნო, კაცებ ჩვენებური გოგო უნდოდა, ჩვენი დამოყვრება და თქვენ ყალმაყალს უტეხდით?!. მე შენ გიოხრა არა გვყავს აი ლამაზ ლამაზი, რეკალ-რეკალი გოგოები!. აერჩია იმ კაცა და რომელი გოგო იტყოდა რუსეთის დედოფლობაზე უარს! ქრისტიანო, თუ ასეთ პუსტიაკ რამეზე ჯავრობდა ჩვენი სიძე კაცი, გეთქოთ იდრე თქვე კი აღამიანებო ჩემვის!.. განა იმისთანა კაცისთვის თავს დავზოგავდი! მე შენ გიოხრა

არ მეხერხება აი, შეა კაცობა და მარჭაკლობა! მე არ გაურიგე ქალები: მწვანე იაგორას, ვირ დავითას, ტიკს უსუნეს, მეოვევზე ხუროშვილს, ფეხნიკ ვანკას, ჩამხაურას, ჭკვიან პოლოსაანთ ბიჭებს!..

კაცო, ჩულურეთში გიგიუა მენახშირებს სამი ცოლი გაურიგე და ისე მადლობელი დამრჩა, რომ პირველი ცოლი რომ მოუკვდა, მეორე და მესამეც მე გამარიგებინა: „კაი ხელისა ხარო“, მეებნებოდა! კაცო, თუ ამისთანა ვიგინდარებისთვის თავი არ დამიზოგნია, ნეუჯელი თუ კი ქვეყნიერობას ეშველებოდა ჩემი მარჭაკლობით თავს დავზოგავდი, რომ მცოდნოდა საქმის კარაბალინი?!.. ნაპრასნა, ოჩენ ქალკა, შტო ია ეტა დელა ნე ზნალ რანშე! კვიტაშვილის ქალს კი არა, სულ სვეტლეიჩი ბარიშებს გაურიგებდი, თუ კი ასე სრაზუმ შევგირივდებოდა!

რას ამბობ, კაცო, იცი როგორ მოვისვენე ამ ბალშენიკებს რომ შაურიგდით! პრამათ სამოთხეში ვარ რაღა! აღარავის შიში აღარა მაქეს. მოყვარეა, სიძეა კაცო, დღეს ჩემი სისხლი და ხორცია, რას ამბობთ ეე, იცით ეს რა ამბავი მოხდა?! სულ პასლედნი სამოცდა ცხრამეტი აჩკი წინა ვართ ეხლა!

ეხლა მინდა აღმა წავალ, მინდა დაღმა, მინდა თავდაყირა დავერჭობი, ვინ გავცემს ხმას, როცა ამისთანა კაცი დაგვემოყვრა!

პრავა, მე და ჩემმა ღმერთმა, პრავა! ეს ძალიან საქმე გაკეთდა, რას ამბობ, კაცო, სანამ შავრიგდებოდით სულ აღრენილი ვიყავი, შიშით ოთხათ მოკაკული დავდიოდი, ჭამის აპეტიტიც დამეკარგა და მთელ ჯავრს სულ ჩემ საცოდავ დედაკაცზე ვიყრიდი! სულ რომ ტუჩებში ეპროშტა, მე მაინც ქოფავი ძალივით ულრენდი! საწყალი ჩემი დედაკაცი სულ დავაჭლერქე და დავადნე! არც იმის ტანისამოსს დაყრიდა ხეირი! სულ ავიწროვა და ავიწროვა კაბა იუბკა, სულ უკლო და უკლო სარტყელში საწყალმა! ეჭ, მახლის... მართალია დედაკაცი დავადნე ჯავრითა, მაგრამ რაღაც ღმერთმა ინება და ბალ-შენიკებთან შარიგება მოხდა, ეხლა მოვდები ჩემ სონას არხეინად, ნელა-ნელა და რაც აქამდე დამიკლია, სულ ეხლა შეურსულებ. ისე მოუ-

არო, ისე ვაჭამო, სულ შეატყუშები როგორც მაშეა ღორისი ცეცხლის სუმისამართ ხომ არის!.. სიძე რომ გვეწვევა რუსეთიდან, ჩვენც უნდა დავხვდეთ, თუ არა?! ისეთი გახვითქინებული ბარიშები და დამები უნდა ვაჩვენოთ რომ თქოს, თუ მარტო კვიტაშვილის ქალი არ ყოფილი მოსაწონი საქართველოშით. იმიტომ მინდა შევაპატივო ჩემი დეჭაკაცი, რომ უცხო სტუმართან მეც გამოვჩნდე. ერთი პატარა შევასუქო ჩემი სონა და ნახავ თუ სულ არ დაავიწყდეს ჩვენ სიძე ბატონს თავისი ზინაიდა. შაიძლება კვიტაშვილის ქალი ჩემ დედაკაცზე ნასწავლი და უჩინი იყოს, მაგრამ ჩემი სონასთანა არშიუბი და კუდის ქნევა იმას არ ეცოდინება, რაც მართალია, მართალია! იცოცხლეთ ჩემი დედაკაცი მე არ ჟამარცხვენს სიძესთან, მაგრამ ხათე არის რომ, ვაი თუ მოეწონა-სიძეს ჩემი სონა, გაიხსენოს რუსეთის რჯული და ჩემ სონაზე კომუნისტიბა გამოაცხადოს, მაგრამ არა მგონია ჩვენში ეგენი გაბედოს!..

გოგია.

### გამოცხა.

(ჭარულისათვის)

ვინ არ იცნობს იმ ვაჟა-პატონს, ფლიდა და გაიძერასა, ვინაც პაპავის მუშები მისცა მტაცებელ ძერასა..

ხრიკებით ფონზე გადასვლა ხელობა არის იმისისი, (მიკვირს იმ კაცმა ნეტავი ვის გაატანა სინდისი!),

ოდეს ბედშავმა მუშებმა ველარ გაუძლეს თმენასა, მუშათ კავშირში უჩივლეს არ მოერიდენ წყენასა, (აქ კი ნელ-ნელა ეღება ბოლო მის აღმაფრენასა).

კავშირი სწერდა: გახსოვდეს გემნეს მუშების შიშიო, ფიცხლავ მიეცი სულ-ყველას თავისი ანგარიშიო, (თორებ მზად არის ლაგამი ამოგედება პირშით).

რაღას იზამდა შეატყო ეთხოვებოდა ლხენასა სინამდვილეში დამარცხდა გალა-ტიონს სთხოვს შველასა! (უნდა გადარჩეს უვნებლათ და ეკედლება ზენასა)



რომ გაუმწარდა სიცოცხლე  
იწყევლის ბედის წერასა.

ვინც გამოიცნოთ ეს ვაუ  
მაგრათ ჩაჰყვირეთ ყურშია:  
— რომ მან გაჰყიდა მუშები  
ლაქიურ სამსახურშია!.

### ლაფონ-ტეფოშვილი.

### წყლის ამღვრევა.

ბოროტი ენგბი შორაპნის ოლქის  
საბჭოს თავმჯდომარეს ბევრში სდე-  
ბენ ბრალს, თუმცა ის ყოველთვის  
გამართლებული გამოხოხორიკდება  
ჩვეულებრივ და ყველას არწმუნებს:  
„მე ისა აღარა ვარ რაც ვიყავით,  
ახლა ტყავი გამოვიცვალეო“, თუ  
არ გჯერათ ჰკითხეთ „ჩემი საქმენი  
საგმირონი“ საეკლესიო ყოფილს  
სკოლებს, რომელთა მეთვალყურეთ  
რამოდენიმე წელი ვიყავი და ისინი  
გეტყვიანო. ბესარიონ ეპისკოპოზის  
დოროსო, განაგრძობს იგივე, იმდე-  
ნად ავმაღლდი, რომ „ბლალოჩინის“  
ტახტზე წამოვაჯე და „მთელი სამი  
თვე“ დავყავ ამ სახატიო აღგილზე;  
რა ვუყოთ მერე ლეონიდებ თუ მი-  
გვატოვებინა ეს აღგილი სხვებთან  
ერთად მეც. ეს წუთი სოფელი ასე  
ტრიალობს: ხან გატირებს, ხან გა-  
ცინებს.

ამ უამაღ, როცა „რეაბილიტაცია“  
მოხდა და იგი კვლავ დაუბრუნდა  
თავის აღგილს, ამასთანავე „დეკა-  
ნოზობაც“ გაიკრა გვერდზე, მიღი  
ახლა შენ და წევეტორლიალე: ლირ-  
სი რომ არ ყოფილიყო ჭულუხად  
და ვანიჩეა არც კი აირჩევდნენ.  
მისი არჩევის დღეს ისე აღიქსნ სი-  
ხარულით ყველანი, რომ სამს დღე-  
სა და დამეს ლხინი და ქეიფი არ  
შეწყვეტილა მისს სახლში. უესე არს  
დღე რომელი ქმნა იაკობმა“ იძახო-  
დენ და ქუდს ჭერში ახლიდენ მო-  
ქეიფე კირილე და არჩილი, „ვიხა-  
რებდეთ და ვიშვებდეთ მას შინან“.

სხვათა შორის ამბობენ: მრევლი  
უკმაყოფილოა მისი რაღან 15 ვერ-  
სის მანძილით დაშორდა და ქ. ზეს-  
ტაფონს დაესახლა ცოლის აღგილ-  
ზეო. შეიძლება სხვამ არ იცოდეს  
და არც ეხერხებოდეს, თორემ შორის  
ყოფნა, სამწყსოზე დაცილება, თუ-  
დაც 10 ვერსით, განა რასე ავნებს  
კეთილ განწყობილ მრევლის და  
მოძღვრის კავშირს? ამისთანა შემ-

თხვევაში ოლქის თავმჯდომარე „რა-  
დიოთი“ ასრულებს უკლებლათ ყო-  
ველივე მღვდელ-მოქმედებას, ხანდის-  
ხან აეროპლანით გადაფრინდება ზე-  
სტაფონიდან, ყოველ შემთხვევაში  
თვეში ერთხელ დახედავს „ქრისტეს  
ყანას“ და მარგლის, იცავს, მაგ.  
საკურთხობის დროს, რომ ულუფა  
მისი არვინ წარიტაცის.

იმასაც კი აშბობენ კიდევ, რომ  
შორაპნის ოლქში, როცა მღვდელ-  
დიაკვნის ადგილები დაიცლება, დი-  
დი წაჟექუაუჯაქობა და გატან-  
გამოტანია ხდება ხოლმეო, მაგრამ  
„ბლალოჩინ დეკანოზი“ ამ დროს  
სახარების სიტყვებს მტკიცედ ასრუ-  
ლებს: იგი „აღამღვრევს“ ასეთს  
ადგილებში წყალს და ვინც პირვე-  
ლად ჩაგა ამღვრეულს წყალში აგა-  
ნიკურნება სნეულებისაგან“ და მი-  
იღებს საწადელს.

ასე იყო მაგ. ს. ვარძიაში, „დე-  
კანოზმა“ აღამღვრივა წყალი იქ შემ-  
დეგ მღვდლის ადგილის დაცლისა  
და ამ ამღვრეულ წყალში შთავიდენ  
მიხეილი და გედევანი; რადგან გე-  
დევანმა მიხეილს მოასწრო ჩასვლა  
წყალში, ამისათვის იგი (ე. ი. გე-  
დევანი) „განიკურნა“, ხელდასმულ  
იქმნა მღვდლად ვარძიის ეკლესიაზე.  
ასევე „აღამღვრივა“ წყალი წევას,  
საწაბლეს, კვალითს, მარტოთუბანს.

ელგისო.

### ერთი მანეთი.

(იმერული სცენა)

რაგაც შეეფერება, შენ ხარ ჩემი  
ბატონი, ამ ახლანდელ დროს, ქე  
ვაპრობ მეც პაწიას. ჩამომაქ თბი-  
ლისის ქალაქში ქფილი, კვერცხი,  
ბატი, კვატი, ქათამი და ინდოური  
და ქმ ვყიდი დეზერტიოსკი ბაზარზე.  
ხო, და! ჩამეველ ამას წინედ დი-  
ლის პოვეზით ქალაქს, მივედი ბა-  
ზარზე, გავყიდე ყოველისფერი, ჩე-  
ვითვალე ჯიბეში კაკალი ხუთასი  
თუმანი, მოუჯექი პერვი ნომერ  
კონკას და წავგლიჯინდი თამაშო-  
ვის ქარევასლისკენ. ჩემმა აღათომ  
დამაბარა წითელი ზონტრიკის ყიდვა.  
რომ მიგაწიეთ მიხაილოვსკი ქუჩას  
და ჩამეიარა კონუხტორმა ბილეთის-  
თვინ. ამევიღე თუმნიანი და მიგარ-  
თვი. მომცა ბილეთი, შენ ხარ ჩემი

ბატონი, და სამი ტრიუმფურულებული  
„ბიქო, ბილეთი ექვსი მანათი ღირს  
და ეს ყმაშვილი რატომ არ მაძლევს  
კიდო მანათ ხურდას“-თქვა, გევი-  
ფიქრე და უთხარი:

— ტავარიშ, ერთი მანათი კიდო  
მერგება შენგან.

— არ მაქ ხურდა.

— ბიქო, რავა თუ არ გაქ, სად  
მაქ ძმაო, მაგდენი ფული, რომ  
ლიშნი მანეთები ვაძლიო ყველის!.

— კარგი ერთი, მამა გიცხონდა,  
მანათი რაა, რომ მაგაზე ილაპარაკო.

დეიშუო გლახად ღრექა და სი-  
ცილი!

ბიქო, გავგრაზდი მარა რავარი!  
ღოვუწყე ყვირილი, დამიწყო იმანაც  
მუშტის ქნევა, გაჩერდა კონკა...

— ჩამოდი ძირს,— მითხრა კო-  
ნუხტორმა.

— როგორ თუ ეგ შემომქალრე-  
თქვა უთხარი და ვეცი... ერთი კი  
იმისთანა უთაქე მუშტი ყბაში რომე,  
თლა ბნედა დაემართა საწყალს...  
შეიქნა ერთი ზრიაქი, შვიშტოკების  
ფშვიტინ-ფშვიტინი, მომვარდა მი-  
ლიცია... მტაცეს ხელი და გამაქა-  
ნეს „ასობი ატრიადში“— „ბალშე-  
ნიკი ხარო!“

დმერთმა უშველოს ჩეენი ტეიბუ-  
ხის უფროს შვილს, ონისიმეს! თურ-  
მე „ასობი ატრიადის“ ჩნელი ყო-  
ფილა!.. აქეთ ეცა, იქით ეცა, შეე-  
ხვეწა ვინცხას და მეორე დღეს ქე  
გამომიშვეს გარეთ. ჩეიწერეს ანდრე-  
სი, ჩემო ბატონო, და ღღეს თუ  
ხვალ ველი ან შტრაფის უწყებას  
ან ვირის აბანოში გამგზავრებას...

არა, რავა წახდა დროება, ჰა! ბი-  
ქო, მანეთიანების მეტი რა გამოუშ-  
ვა ჩეენმა მთავრობამ და (ჩეენში  
დარჩეს და ავლაბარში ხომ ზაფოდე-  
ბი ყოფილი ფულის საკეთებელი!)  
მარა, ამ ხურდა მანეთიანებს ქე გა-  
უთხარეს მიწა ზოგიერთებმა! მე კი  
ეხლა მიხევდი მიზეზი ჩემო ბატონო,  
მანითს რომ მანათი დაადო, გახდე-  
ბა ორი მანათი, თუ მანათს რომ  
კიდო მანათი დაადო—იქნება სამი,  
მერე ოთხი, ხუთი, ექვსი... და...  
დღეში ქე იშოვნის კაცი ათ—ოც  
თუმანს!.

გუგული.

(გამოცანა).

## მსახიობთა მუშტი-ტრიტი.

შეშვი კაკაბი შეიძნენ...

## კრიფი პირველი.

პირველი კრივი მოხდა ქუთაისის სცენაზე რეპეტიციის დროს. კრივი მოპყვა ჯერ ლაპარაკი.

იმედაშვილი. (ზარდალიშვილს).  
შენ ვინა ხაჩ?

ზარდალიშვილი. პირველი მსახიობი ქართული სცენისა.

იმედ. პირველი მსახიობი ქართული სცენისა ვასო აბაშიძეა.

ზარდ. მაშ მე მეორე მსახიობი ვარ.

იმედ. მეორე მსახიობი მესხიშვილია.

ზარდ. მაშ მესამე მსახიობი მე ვარ.

იმედ. მესამე მსახიობი მე ვარ და არა შენ.

ზარდ. არა, მე...

იმედ. ესეც შენ...

ზარდ. მოგვხდა? შე დალაქო შენა?

იმედ. მოგვხდა, შე მებულკევ შენა?

(შემოკრა მუშტი. გაიმართა კრიტი. ძლივს გაშველეს).

ზარდალიშვილმა განაცხადა: მე იმედაშვილთან ერთათ ვეღარავინ მახაჭს სცენაზეო და წამოვიდა ქუთაისიდან ტფილისში.

## კრიფი მეორე.

მეორე კრიფი მოხდა ტფილისის სცენაზე. კრიფს მოპყვა ჯერ ლაპარაკი.

იმედ. დავდგათ „ჰამლეტი“.

ზარდ. არა, „ოტელო“ დავდგათ.

იმედ. მე არ მინდა ოტელო.

ზარდ. მე არ მინდა ჰამლეტი.

იმედ. მე ქალი მყავს ლამაზი, ოფელიას როლისთვის.

ზარდ. მე ქალი მყავს ლამაზი, დეზდემონას როლისთვის.

შაშვემა აჯობა კაკაბსა. იმედაშვილმა აჯობა ზარდალიშვილს. გამოცხადდა „ჰამლეტი“.

ზარდალიშვილის დეზდემონას მისცეს არა შესაფერი მისი სილამაზის კაბა. ეს იწყინა „დეზდემონაში“ და თვალცრემლიანი მივარდა ზარდალიშვილს.

— ხედამ, რა კაბა ჩამაცვეს? ამ კაბით როგორ ვითამაშო?

— ეგ სულ იმედაშვილის ბრალია. ამას ქვიან შურის ძიება.

ზარდ. (იმედაშვილს) ეს რა კაბა მიგიცია ჩემ დეზდემონასათვის?

იმედ. დეზდემონა კი არა, გობბიოა.

იმედ. ესეც შენ, დალაქო.

ზარდ. ესეც შენ, მებულკევ...

(მუტში-კრივი. გაშველება. ფარდა აიხადა და წარმოდგენა დაიწყო).

სცენის მოყვარე.

## სურამ-ხაშურმციუნის ითაცა

(გამოცანა).

სურამს იყო არხეინათ, ჩვენი გამოცანის გმირი.

მოხუცობაში აქვს ფეხი, ჭარხალს უგავს სახე-პირი.

საზოგადო მოღვაწეობს, განთქმულია ვით ორპირი, აფთიაქის საქმის გამო დიდი ნახა გასაჭირი.

სურამის ქალაქის თავად იყო ერთხელ მჯდომიარე:


პანლური პერებს, გააძევეს... ხალხი დარჩა „მგლოვიარე“.

აფთიაქი, რომელიც მას საკუთრებათ ქონდა ერთი, იყი ხაშურლებს მიყიდა, მართალს ვამბობ თუ მწამს ღმერთი.

პირობაც კი დაუწერა, თეთრ ქაღალდზე შესაფერი, მაგრამ საქმე ვერ მოაწყო, როგორც უნდა მას „სხვაფერი“.

და სურამ-ხაშურის საქმე, დღეს სულშია გასარჩევი; შაქრიო, მიშა და კირილეც საქმეშია ჩანათრევი... ამა გმირის საქმის გამო, ზოგი ღიდი პირი ცდება და ხაშურელ-სურამლები ამ ამბით კი ყალყზე დგება.

კვესი.



უკუიდევე.